

გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელობა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობები

ონიანი ბაკურ – ასოცირებული პროფესორი, სწავლების მეთოდის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Importance of Environmental Education and Strengthening its Capabilities

Oniani Bakur – Associate Professor, Department of Teaching Methodics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: High environmental culture of society is a valuable instrument of sustainable development. Environmental awareness raising is one of the challenges of modern education, for responding to which, one of the strategies consists in proper organization of environmental training at different stages of education. The goal of this research is: to study the possibilities for existence and strengthening of the environmental component in the disciplinary training programs of the Faculty of Pedagogics of ATSU and compare it with the framework of the recommended programs; to assess resources and develop recommendations with a view to improving environmental education; to assess the role of informal education.

Research methodology: Desk research was mostly used, within which the following documents were used and analyzed: the educational programs and recommendation frameworks of the Faculty of Pedagogics of ATSU; various occupational standards; national goals of general education; national education plan; examination of environmental information and the education center; assessing environmental education in Georgia and the reports of non-governmental organizations.

Results and implications: The environmental component is underrepresented in the disciplinary standards of primary education teachers and in the programs; resource capabilities are insufficient to meet standard requirements; it is advisable to enhance the capacities of teaching staff in the field of sustainable development; the role of informal education is weak; it is advisable to strengthen training in environmental protection related matters in the national education plans from the primary education stage.

Conclusion: Faced with insufficient number of students at the faculty of Natural Sciences, it is important to strengthen training in environmental protection related matters at the pedagogical faculties. Potentially, a primary education stage is one of the most effective links in the environmental education chain. Strengthening this component in the standard of primary education teacher and training programs, as well as enhancing the capacities of teachers in the field of sustainable development will foster to respond to this challenge.

Keywords: environment, sustainable, development, training, education.

შესავალი: მდგრად განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოსდაცვით განათლებას. ათასწლეულების განმავლობაში ადამიანი დედამიწის ეკოსისტემების ბუნებრივი ნაწილი იყო, მაგრამ ბოლო საუკუნეების განმავლობაში ის პერმანენტულად აძლიერებდა გარემოზე ზემოქმედებას და უკვე მივიდა ბუნების შესაძლებლობებსა და ადამიანის მოთხოვნებს შორის აშკარა შეუსაბამობამდე.

გარემოზე მზარდი ანთროპოგენული ზემოქმედების გათვალისწინებით უახლოეს მომავალში ადამიანს სრული სიმწვავეთ დაუდგება სუფთა საარსებო გარემოს, წყლის, საკვების, ბუნებრივი რესურსების პრობლემა. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობის მიერ ვერ სრულდება მდგრადი განვითარების მოთხოვნები თითქმის ვერცერთი მიმართულებით: ვერ ხერხდება სამხედრო ხარჯების შემცირება, მთლიანი შიდა პროდუქტის მცირე ნაწილი ხმარდება გარემოს დაცვას, მაღალია მოსახლეობის მატების ტემპი, სწრაფად მცირდება ბიოლოგიური კაპიტალი დედამიწაზე. დაბალია განვითარებადი სამყაროს ეკონომიკური ზრდის ტემპი, ნელა ვითარდება ალტერნატიული ენერგეტიკა, მსოფლიოს ეკონომიკური სისტემები ნაკლებად ითვალისწინებს მრეწველობის ეკოლოგიურ შედეგებს. პრობლემებთან ეფექტიანი ბრძოლა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს ადამიანის მიდგომებში ეკოლოგიური რაციონალიზმის მიმართულებით გარემოსთან ურთიერთობაში. გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად სახელმწიფოს სჭირდება საზოგადოების მაღალი ჩართულობა და ინფორმირება მდგრადი განვითარების სფეროში [1]. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება თანამედროვე განათლების ერთ-ერთი გამოწვევაა.

ხშირად ვერ ხერხდება გარემოსდაცვითი საკითხების ეფექტური ადვოკატირება, ეკონომიურად სუსტ ქვეყანაში „ინვესტორთან“ ხელისუფლება საზოგადოების დაბალი ჩართულობის გამო იოლად თმობს გარემოს დაცვის იდეას, რასაც მოწმობს ეკოლოგიურად პრობლემური ბევრი ბიზნეს-პროექტი საქართველოში.

საქართველოში გარემოსდაცვით განათლებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. 1977 წელს თბილისში გაიმართა მთავრობათაშორისი კონფერენცია გარემოსდაცვითი განათლების საკითხებზე. 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონით ის დამკვიდრდა, როგორც კანონიერი უფლება. პრეზიდენტის 2002 წ. 18 დეკემბრის N538 ბრძანებულებით „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შესახებ“, განისაზღვრა გარემოსდაცვითი განათლების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები. 2004 წ. მთავრობის მიერ გარემოსდაცვითი განათლება განისაზღვრა, როგორც სწავლების განუყოფელი ნაწილი. მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილებით ის აისახა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში [2].

საქართველო გარემოს დაცვის სამინისტროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ქმნის 2012–2014 წწ. საქართველოს ეროვნულ სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის“.

სტრატეგიის მიზნებში შედის სამიზნე მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში გარემოსდაცვითი განათლების ინტეგრირების ხელშეწყობა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევების გაძლიერება გარემოსდაცვით მეცნიერებებში, ეკო კლუბების შექმნა, მოკლევადიანი ტრენინგ კურსების შექმნა სხვადასხვა ჯგუფისათვის, საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების კომპანიები, პედაგოგებისათვის საგნობრივი და პროფესიული უნარების ტრენინგების ჩატარება გარემოსდაცვითი განათლების საკითხებზე [2].

სამწუხაროდ, ამ დოკუმენტის მოთხოვნების ინტეგრირება საგნობრივ პროგრამებსა და არაკურიკულურ ნაწილში სრულად ვერ ხერხდება, არ ტარდება ცნობიერების ამაღლების კამპანიები, სუსტია გარემოსდაცვითი სტუდენტური აქტივობა, სუსტია რესურსული ბაზა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ დოკუმენტის განახლებაზე. სასურველია გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მეტად აისახოს პროგრამებსა და არაკურიკულურ მუშაობაში.

2013 წ. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

კვლევის მიზანია გარემოსდაცვითი კომპონენტების არსებობის და გაძლიერების შესაძლებლობების შესწავლა აწსუ პედაგოგიურ ფაკულტეტზე საგნობრივ პროგრამებში, მისი შედარება სარეკომენდაციო პროგრამების ჩარჩოებთან, გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი გარვითარებისათვის — საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზნებთან, რესურსებისა და არაფორმალური განათლების როლის შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება გარემოსდაცვითი სწავლების გაძლიერების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია — ძირითადად განხორციელდა სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებში შევისწავლეთ და გავაანალიზეთ დოკუმენტები: აწსუ პედაგოგიური და სხვა ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამები, სარეკომენდაციო ჩარჩოები, სხვადასხვა პროფესიული სტანდარტი, საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა — გარემოსდაცვითი განათლების მდგრადი განვითარებისათვის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ესგ, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კვლევა: გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, აგრეთვე ჩატარდა თვისებრივი კვლევა (ინტერვიუ სტუდენტებთან და ლექტორ-მასწავლებლებთან (2 ფოკუს ჯგუფი).

გარემოსდაცვით სწავლებაში ძალიან მნიშვნელოვანია მისი ორგანიზება უმაღლეს სკოლაში, ბოლო წლებში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე ძალიან შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა. ასეთ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს გარემოსდაცვითი სწავლების გაძლიერება პედაგოგის კვალიფიკაციის მიმნიჭებელ მიმართულებებზე, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის პედაგოგთათვის, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

- ბუნებისმცოდნეობა ერთ–ერთი ძირითადი მიმართულებაა ამ საფეხურის პედაგოგთაგანის და მისი სწავლება გათვალისწინებულია სტანდარტით.
- ბავშვობის ასაკი ყველაზე ხელსაყრელია ადამიანში გარემოსადმი სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის, ბუნებისადმი ემპათიის და მზრუნველი დამოკიდებულების განვითარებისათვის.
- სკოლაში დაწყებითი საფეხურის პედაგოგის მუშაობის მიმართულება სასწავლოსთან ერთად სააღმზრდელო აქტივობაცაა, რაც დამატებით შესაძლებლობებს აჩენს მიზნის მისაღწევად.
- დაწყებითი საფეხურის პედაგოგის სასწავლო–სააღმზრდელო მუშაობის სხვა თავისებურებების გამო იზრდება სწავლების ბენეფიციართა რაოდენობა.
- არასაბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე გარემოსდაცვითი სწავლება გარკვეულწილად პირობითია.

უმადლეს სასწავლებლებში სხვადასხვა სპეციალობაზე გარემოსდაცვითი მიმართულების საფუძვლიანი შესწავლა (თბილისის მასშტაბით) მოხდა კვლევით „გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში“ (რომელიც შეასრულა მეცნიერთა და ექსპერტთა ჯგუფმა გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის დაკვეთით) საქართველოს უნივერსიტეტებში იმ ფაკულტეტების ჩამონათვალში, სადაც გარემოსდაცვითი საგნები ისწავლება, ძირითადად არის აგრარული, საინჟინრო ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და საბუნებისმეტყველოსთან ინტეგრირებული ფაკულტეტები, ნაკლებად პედაგოგის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სპეციალობები [3].

დაწყებითი საფეხურის (I–VI კლ.) ბუნებისმცოდნეობის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით მისი პროფესიული უნარ–ჩვევების ჩამონათვალში მდგრადი განვითარების მიმართულებით არის მოთხოვნა „ეკოლოგიური პრობლემების მდგრადი განვითარების ჭრილში განხილვა“ (მუხლი 19. პ.ა.ი.). ამავე სტანდარტით პროფესიული ცოდნა გარემოს დაცვის სფეროში (მუხლი 20, პუნქტი ჩ) მოიცავს თემებს: მდგრადი განვითარების პრინციპები, ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე (დადებითი და უარყოფითი), დაცული ტერიტორიები და მათი შექმნის აუცილებლობა, წითელი წიგნი, ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენება (ხეების ჭრა, ბრაკონიერობა). სწავლების მეთოდების ნაწილში პროფესიული სტანდარტი მოითხოვს „მოსწავლეებში ისეთი სოციალური უნარების განვითარებას, როგორცაა: თვითგამოხატვა, ქცევის შეფასება და თანამშრომლობა, გარემოზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა (მუხლი 20. პ. ა.ბ.), აგრეთვე საგაკვეთილო პროცესის იმგვარად წარმართვის უნარს, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარებას.

სასურველია სტანდარტით კომპეტენციების გაზრდა და დაკონკრეტება. აწესი პედაგოგიურ ფაკულტეტზე გარემოსდაცვითი კომპონენტი წარმოდგენილია მხოლოდ ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სილაბუსებში და შემოიფარგლება 1–2 ლექციით, რაც სტანდარტით გათვალისწინებული დონის მისაღწევად საკმარისი არ არის. ტრენინგმოდული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლისათვის ბუნებისმეტყველებაში (26 საკონტაქტო საათი) მოიცავს სტანდარტით გავალისწინებულ საკითხებს: გარემო და მისი დაცვა (ცნებები: დაცული ტერიტორიები, მათი კატეგორიები, მსგავსება და განსხვავება), აგრეთვე ბუნებრივ რესურსებს, მათ კლასიფიკაციას, ამოწურვადობას და აღდგენადობას [3]. მდგრადი განვითარების სფეროში საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერების სურვილი გამოითქვა ინტერვიუებში ლექტორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა მხრიდან.

შედეგები და რეკომენდაციები

- დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა საგნობრივ სტანდარტებში და პროგრამებში გარემოსდაცვითი კომპონენტი არასაკმარისადაა წარმოდგენილი. ვერ პასუხობს გარემოსდაცვითი განათლების სფეროში საქართველოს ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიზნებს.
- რესურსული შესაძლებლობები არასაკმარისია სტანდარტით და სტრატეგიით გათვალისწინებული მოთხოვნების მიღწევად სახელმძღვანელოებში მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი საკითხები ნაწილობრივია ასახული, სასურველია გარემოს დაცვის სწავლებასთან ადაპტირებული ლაბორატორიების შექმნა და აღჭურვა.
- სწავლება ძირითადად სააუდიტორიო მუშაობით შემოიფარგლება. სასურველია სასწავლო პროგრამებში მეტი ყურადღება დაეთმოს ნატურალისტრი ინტელექტის განმავითარებელ სტრატეგიებს და არაკურიკულურ აქტივობებს.

- სუსტია არაფორმალური განათლების როლი. სუსტია სტუდენტთა აქტივობა (ჩართულობა) გარემოსდაცვით საქმიანობაში. სასურველია თანამშრომლობა გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- საჭიროა ლექტორ-მასწავლებელთა შესაძლებლობების გაზრდა მდგრადი განვითარების სფეროში.
- დაწყებით საფეხურზე გარემოსდაცვითი სწავლების მნიშვნელობის გათვალისწინებით სასურველია ამ საფეხურის პედაგოგთა შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი განვითარების, ალტერნატიული ენერჯეტიკის, მწვანე რევოლუციის, გმო ორგანიზმების, ბიოტექნოლოგიების, გლობალური გარემოს პრობლემების მეცნიერული საფუძვლებისა და სწავლების ტექნოლოგიების მიმართულებით.
- მდგრადი განვითარების სწავლების გაძლიერება არაპროფილურ მიმართულებებში.

დასკვნა. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობის კლების პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს გარემოსდაცვითი სწავლების გაძლიერება პედაგოგიურ ფაკულტეტებზე. გარემოსდაცვითი განათლების ჯაჭვში პოტენციურად ერთ-ერთი ეფექტური რგოლია სკოლის დაწყებითი საფეხური. დაწყებითი საფეხურის პედაგოგის სტანდარტსა და სასწავლო პროგრამებში ამ კომპონენტის გაძლიერება და პედაგოგთა შესაძლებლობების გაზრდა მდგრადი განვითარების სფეროში ხელს შეუწყობს ამ გამოწვევის დაძლევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ონიანი ბ.გ., მდგრადი განვითარება და გარემოსდაცვითი განათლება. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ 2(46), თბილისი 2013. გვ. 44–45.
2. გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის: ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2012–2014. 2012 წ. გვ. 7–8. 11–12.
3. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი. კვლევა: გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში. თბ. 2014. გვ. 77–80.
4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თბილისი 2014.
5. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2011–2016 წწ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.